ბრძანება:**ბ32. 322602615**

თარიღი:**26/01/2026**

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახელების საერთო კრებების და ამომრჩეველთა კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" და ,,ე.ვ" პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 54-ე მუხლის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის ""საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" N85 განკარგულებისა და მერის პირველი მოადგილის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისა და საერთო კრება/კონსულტაციების გამართვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის გიორგი გოდაბრელიძის 2026 წლის 26 იანვრის #32-322602684 მოხსენებითი ბარათის **საფუძველზე**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომარჩეველების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის დაგეგმარების განყოფილებასა და ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილებას მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში."
3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განსაზღვროს დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მარნეულის მუნიციპლიტეტის მერიაში (მის:ქ.მარნეული რუსთაველის ქ. N73) და ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, **09 - დან - 18 - საათამდე, 2026 წლის 26 იანვრიდან 06 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.**
5.დასახელებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახელებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტე (ებ)ის შერჩევა.
6.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრონ: ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის, ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების პროცესის დაგეგმარების განყოფილების **უფროსი - კარლო ასანიძე (ტელ:599 03 06 02) ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილების უფროსი - შალვა აბრამიშვილი (ტელ: 595 64 44 34);**
7.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: 8 (რვა) ფურცელად.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დაური ისმაილოვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი